ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი
ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. რ.
საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ი. რ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.11.16
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 098/16
საჩივარი შემოტანილია – ადვოკატ ა. კ-ის მიმართ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 29 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. რ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. კ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, მისი შვილი მ. რ. შეუთანხმდა იურიდიულ კომპანიას შპს „---- ----" საადვოკატო მომსახურების მიღების თაობაზე. საჩივრის ავტორის საქმე უნდა ეწარმოებინა კომპანიის ადვოკატს ბ. ჯ.-ს. საჩივრის ავტორსა და ზემოაღნიშნულ იურიდიული კომპანიის წარმომადგენელს - ადვოკატ ა. კ-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. აგრეთვე, მ. რ.-მ ადვოკატ ბ. ჯ.-ის სახელზე გააფორმა მინდობილობა, რათა მას სასამართლოში წარმოედგინა მისი ინტერესები და ეწარმოებინა მისი საქმე შეთანხმების შესაბამისად.

1.3 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, მ. რ.-მ ადვოკატ ა. კ-თან გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას ისე მოაწერა, ხელი, რომ არ წაუკითხავს, რადგან ენდობოდა ადვოკატს, თუმცა მოგვიანებით, ხელშეკრულების გაცნობის შემდგომ, აღმოჩნდა, რომ ნაცვლად ზეპირი შეთანხმებისა, რომლის მიხედვით, მას ჰონორარის სახით 500 (ხუთასი) ლარი უნდა გადაეხადა, ხელშეკრულებაში ეწერა 700 (შვიდასი) ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ა. კ-ის საადვოკატო ბიურომ არაკვალიფიციური მომსახურება გაუწია და შესაბამისად, ის არ გადაიხდიდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარს.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ის და მისი შვილი მ. რ. ცხოვრობდნენ დედასთან, ნ. რ-თან და არ სურდათ ამ ამბის გახმაურება, რაც უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას ეხებოდა, რადგან დედა და ნათესავები მოცემულ საკითხს არასწორად გაიგებდნენ და პრობლემები შეექმნებოდათ.

1.6 2016 წლის 08 სექტემბერს, ადვოკატ ა. კ-ის საადვოკატო ბიურომ, ფოსტის მეშვეობით მ. რ.-ის ბებიის - ნ. რ-ის მისამართზე გააგზავნა შეტყობინება. კონვერტს ადრესატის სახით ეწერა - საჩივრის ავტორის დეიდა - ი. რ. - კ. წერილის შინაარსი ეხებოდა მ. რ.-ის მიერ საადვოკატო ბიუროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თანხის გადახდის გაფრთხილებას. ადვოკატის ამ ქმედებამ განაპირობა ის, რომ ოჯახის წევრებმა ყოველივე გაიგეს, ხოლო ი.რ და მ. რ. უსახლკაროდ დარჩნენ, რადგან ნ. რ-მ მოცემული სიტუაციის გამო ისინი სახლიდან გაუშვა.

1.7 ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა საჩივრის ავტორს, რომელმაც განაცხადა, რომ 2017 წლის 12 ივლისს ჩანიშნულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადდებოდა და სხდომა გამართულიყო მისი და წარმომადგენლის - ი. რ.-ის დასწრების გარეშე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2016 წლის 21 დეკემბერს ადვოკატ ა. კ-ის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, მომჩივანმა მართლაც მიმართა ორგანიზაცია ,,-----'' მის წინაშე არსებული იურიდიული პრობლემის გადაჭრის მიზნით, მომჩივანს გაეწია უფასო იურიდიული კონსულტაცია. მას შემდეგ, რაც მისთვის მისაღები აღმოჩნდა საქმეზე იურისტების მხრიდან წარდგენილი სტრატეგია, მოითხოვა წარმომადგენლობის გაფორმება. წარმომადგენლობას უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მოცემულ შემთხვევაში, ახორციელებდა შპს ,,---- ----''.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანმა მოითხოვა, რომ შეჩერებულიყო ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება 2016 წლის იანვრამდე, ასევე, თუ შესაძლებელი იყო, შემცირებულიყო ჯარიმა, რომლის მოცულობაც იყო 1240 (ათას ორას ორმოცი) დოლარი. მოცემულ საქმეზე, როგორც კომპანიის იურისტმა, ადვოკატმა ბ. ჯ.-მა განახორციელა საჩივრის ავტორის წარმომადგენლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში და შედეგად, მომჩივანმა მიიღო სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება და შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის და მისი კომპანია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პრეტენზიას სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით, რადგან იგი თავიდანვე იყო ცნობილი და შეთანხმებული კლიენტთან, ასევე მომჩივანი გაეცნო ხელშეკრულებას, სადაც მკაფიოდ იყო გაწერილი ხელშეკრულების საგანიც და ფასიც, ასევე წარმომადგენლობითი მინდობილობა გაფორმდა ბ. ჯ.-სთან 2015 წლის 15 ოქტომბერს, როდესაც მომსახურების ხელშეკრულებაც გაფორმებული იყო და სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების განჩინებაც მხარეს ნანახი ჰქონდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანს პრეტენზია მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა, როდესაც კომპანიამ უშუალო კომუნიკაციის გზით მოითხოვა მომსახურების საფასურის გადახდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანი მართლაც იმყოფებოდა ორგანიზაციის ოფისში და მოითხოვდა მომსახურების თანხის გადახდის გადავადებას. ადვოკატის განმარტებით, მ. რ.-ის დედა - ი. რ. ხმამაღალი ტონით ცდილობდა პრეტენზიის დასაბუთებას.

2.6 ადვოკატის განმარტებით, რაც შეეხება საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პრეტენზიას, რომელიც ეხება კონფიდეციალური ინფორმაციის გამჟღავნებას, ადგილი არ ჰქონია, არც ამის მიზანი გააჩნდა.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მან ორჯერ გააგზავნა წერილი საჩივრის ავტორის იმ მისამართზე, რომელიც წარმოადგენდა მ. რ.-ის ფაქტობრივ მისამართს და ხელშეკრულებაშიც იყო მითითებული. აღნიშნული გზავნილები და ჩაბარებაზე უარი დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია თავად საჩივრის ავტორის მხრიდან და გზავნილებიდან ჩანს, რომ მ. რ.-მ არაერთგიზს შეგნებულად აარიდა თავი კორესპონდენციის ჩაბარებას. კომპანიას არ სურდა საქმეზე დავა გაგრძელებულიყო სასამართლო წესით, რაც მხარისთვის კიდევ უფრო საზიანო შეიძლება აღმოჩენილიყო, ამასთან, კომპანიამ ბევრჯერ სცადა მომჩივნის საკონტაქტო ნომერზე დაკავშირება, რაც უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან, მხარე ან მათ არ პასუხობდა ან ნომერი გამოცვლილი ჰქონდა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მხარესთან ფოსტის მეშვეობით გაგზავნილ წერილში მხოლოდ არსებულ ხელშეკრულებასა და ხელშეკრულებით ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებაზე იყო საუბარი და წერილის არც ერთ მონაკვეთში, საუბარი არ ეხება და ვერც შეეხებოდა დავის შინაარსობრივ მხარეს. ის ფაქტი, რომ წერილი გაიგზავნა მომჩივნის დეიდის სახელზე, წარმოადგენდა ობიექტურ გარემოებას, წერილის გაგზავნისას, მოხდა მართლწერის შეცდომა და ამის გამო ი. რ.-ის ნაცვლად, წერილის გარეკანზე ეწერა ი. რ.-ის სახელი, ადვოკატისთვის უცნობი იყო მომჩივნის დეიდის სახელი.

2.9 2017 წლის 12 ივლისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატი მიერ წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, იურიდიული ფირმის სახელით წერილი უნდა გაგზავნილიყო მ. რ.-ის დედის - ი. რ.-ის სახელზე, რადგან წერილი აუცილებლად უნდა ჩაბარებოდათ.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანთან გასაგზავნ შეტყობინებებს ამზადებდა საქმის მწარმოებელი იურისტი - ბ. ჯ. და მესამე გზავნილი მან მოამზადა, რომელსაც, როგორც ბიუროს ადვოკატმა ა. კ-მა მოაწერა ხელი. ადვოკატის განცხადებით, შეტყობინებებს აგზავნის მათი სახელით ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. რ.ოდესაც ორი წერილი არ ჩაბარდა მომჩივანს, ადვოკატმა იფიქრა, რომ მომჩივანი ემალებოდათ და ამიტომ, სხვა მისამართის მოძიების მიზნით, საადვოკატო ბიურომ გადაწყვიტა ამომრჩეველთა ერთიან სიაში მ. რ.-ის სხვა მისამართი მოეძიებინათ, თუმცა იგივე მისამართი იყო მითითებული. ასევე, აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებულები იყვნენ მ. რ.-ის დედა და დეიდა - ი. რ.-კ-ძე. ადვოკატის განცხადებით, წერილი მ. რ.-ის სახელზე უნდა გაგზავნილიყო, მაგრამ მას არ ბარდებოდა გზავნილები, ამიტომ გადაწყვიტეს შეტყობინების გაგზავნა მისი დედის - ი. რ.-ის სახელზე, თუმცა ბიურომ დაუშვა შეცდომა ადრესატის სახელში და გზავნილი გაიგზავნა არა მ. რ. დედის, არამედ დეიდის - ი. რ.-ე-კაპანაძის სახელზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2017 წლის 10 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. კ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით დადასტურდა, რომ ადვოკატმა ა. კ-მა საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებული წერილი ფოსტის მეშვეობით გააგზავნა საჩივრის ავტორის

დეიდის სახელზე - ი. რ.-კ-ის სახელზე, რა შემთხვევაშიც, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი.

3.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ გაგზავნილი წერილის ადრესატი იყო საჩივრის ავტორი, როგორც იურიდიული კომპანიის, მათ შორის, ადვოკატ ა. კ-ის კლიენტი და შესაბამისად, მოცემული მიმართვა წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, მითუმეტეს, რომ გასათვალისწინებელია წერილის შინაარსი, რომლის გამჟღავნებამაც, როგორც საჩივრის ავტორი უთითებს, გამოიწვია ოჯახის წევრებთან კონფლიქტი და მას მიადგა ზიანი. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ წერილის ადრესატი იყო უშუალოდ მისი კლიენტი, საჩივრის ავტორი - მ. რ. და შესაბამისად, ადვოკატს არც მისი დედის სახელზე ჰქონდა უფლება გაეგზავნა მოცემული წერილი, რადგან ის წარმოადგენდა საჩივრის ავტორის, როგორც მისი კლიენტის კონფიდენციალურ ინფორმაციას.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 2015 წლის 06 ოქტომბერს მ. რ.-სა და იურიდიული კომპანიის შპს ,,---- ----“ დირექტორს - ადვოკატ ა. კ-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომელშიც მ. რ.-ის მისამართად მითითებულია ქალაქი თბილისი, ბ.-ს ქ.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1.მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

2. 2015 წლის 06 ოქტომბრის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება; (ს.ფ. 20)

4.2 შპს „---- ----“ სახელით მ. რ.-ის სახელზე გაიგზავნა წერილი შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ბ.-ს ქ. და მოუკითხაობის გამო, დაუბრუნდა გამგზავნ მხარეს 2017 წლის 07 ივლისს.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. საქართველოს ფოსტის ცნობა შეტყობინების ჩაუბარებლობის თაობაზე; (ს.ფ.18)

4.3 შპს „---- ----“ სახელით მ. რ.-ის სახელზე გაიგზავნა შეტყობინება შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ბ.-ს ქ, რომელიც ბინაზე არყოფნისა და მოუკითხაობის გამო, დაუბრუნდა გამგზავნ მხარეს 2017 წლის 08 აგვისტოს.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. საქართველოს ფოსტის ცნობა შეტყობინების ჩაუბარებლობის თაობაზე; (ს.ფ.18)

4.4 შპს „---- ----“ მიერ ი. კ-რ-ის სახელზე გაიგზავნა შეტყობინება 2016 წლის 19 სექტემბერს შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ბ.-ს ქ, რომელიც ჩაბარდა ადრესატის დედას - ნ. რ-ს 2016 წლის 21 სექტემბერს .

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *ინფორმაცია საფოსტო მომსახურების განხორციელების შესახებ; (ს.ფ.11)*
2. *საქართველოს ფოსტის ცნობა შეტყობინების ჩაბარების თაობაზე; (ს.ფ.19)*

4.5 2016 წლის 19 სექტემბერს შპს ,,---- ----“ მიერ ი. რ.-კ-ის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ მიმართვა ეგზავნება მ. რ.-ს მომსახურების ხელშეკრულების ღირებულების გადაუხდელობის შესახებ, რასაც ხელს აწერს შპს-ს დირექტორი, ადვოკატი ა. კ.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
2. *წერილობითი მიმართვა; (ს.ფ.13)*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. კ.- ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით ადვოკატ ა. კ-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმები:

6.1.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად“.

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

6.2 ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი შეთანხმების ფორმით.

6.3 ადვოკატი კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის დაწყებიდანვე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება განსაკუთრებულ

ნდობას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია ადვოკატის მიერ კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა გასული დორის მიუხედავად. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა მ. რ.-მ იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა იურიდიულ კომპანიას - „---- ----“. 2015 წლის 06 ოქტომბერს საჩივრის ავტორსა და აღნიშნულ კომპანიას შორის გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ (ს.ფ.20). ხელშეკრულებას ხელს აწერს, კომპანიის წარმომადგენელი - დირექტორი ადვოკატი ა. კ და მ. რ. - მოცემული იურიდიული კომპანიის კლიენტი. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა საადვოკატო მომსახურების ფარლგები. მოცემული ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, „კომპანია წარმომადგენლის მეშვეობით, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე უზრუნველყოფს კლიენტის ინტერესების დაცვას სასამართლო, ადმინისტრაციულ და სახელმწიფო ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ყველა სხვა მესამე პირთან ურთიერთობის დროს.“ მ. რ.-ის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, მ. რ.-ის, როგორც კომპანიის კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა კომპანიის ადვოკატი - ბ. ჯ..

6.5 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა ა. კ-მა, როგორც კომპანიის დირექტორმა და მისი ინტერესების წარმომადგენელმა კომპანიის კლიენტის - მ. რ.-ის სახელზე ორჯერ გააგზავნა შეტყობინება მის საცხოვრებელ მისამართზე, რომელიც მითითებული იყო მათ შორის გაფორმებულ იურიდიული მომსახურების ხელშკრულებაში (ს.ფ.18).

6.6 მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებისა და ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, დგინდება, რომ მ. რ.-ის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებები ეხებოდა მის მიერ კომპანიის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის საკითხს და მისი ანაზღაურების თაობაზე მითითებას. მოცემული შეტყობინებები მ. რ.-ს არ ჩაბარდა ბინაზე არყოფნისა და მოუკითხაობის გამო და დაუბრუნდა გამგზავნ მხარეს - იურიდიულ კომპანიას, რის შემდგომაც, მესამედ, კომპანიის სახელით ადვოკატმა ა. კ-მა იმავე შინაარსის წერილი - მ. რ.-ის მიერ კომპანიისთვის იურიდიული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის თაობაზე, გააგზავნა იმავე მისამართზე, თუმცა გზავნილის ადრესატად ბიურომ მიუთითა საჩივრის ავტორის დეიდა - ი. რ.-კ (ს.ფ.19) მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის პოზიციის მიხედვით, როდესაც ორი წერილი არ ჩაბარდა მომჩივანს მან იფიქრა, რომ მომჩივანი ემალებოდათ და ამიტომ, სხვა მისამართის მოძიების მიზნით, საადვოკატო ბიურომ გადაწყვიტა ამომრჩეველთა ერთიან სიაში მ. რ.-ის სხვა მისამართი მოეძიებინათ, თუმცა იგივე მისამართი იყო მითითებული. ადვოკატის პოზიციით, აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებულები იყვნენ მ. რ.-ის დედა - ი. რ. და დეიდა - ი. რ.-კ. ადვოკატის განცხადებით, წერილი მ. რ.-ის სახელზე უნდა გაგზავნილიყო, მაგრამ მას არ ბარდებოდა გზავნილები, ამიტომ გადაწყვიტეს შეტყობინების გაგზავნა მისი დედის - ი. რ.-ის სახელზე, თუმცა ბიურომ სახელში დაუშვა შეცდომა და გზავნილზე მიუთითეს ი. რ..

6.7 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ა. კ არის იურიდიული კომპანია შპს ,,---- ----“ დირექტორი და ის როგორც ამავე კომპანიის წარმომადგენელი ხელს აწერს მ. რ.-თან, როგორც კომპანიის კლიენტთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო არ ვრცელდება იურიდიული კომპანიის საქმიანობაზე, არამედ ვრცელდება ადვოკატებზე.

6.8 საჩივრის ავტორის დეიდის ი. რ.-კ-ის სახელზე გაგზავნილი წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი ეგზავნება მ. რ.-ს, რომელმაც არ გადაიხადა შპს „---- -----“ მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ღირებულება. მოცემულ მიმართვაში, არ არის აღნიშნული ის კონკრეტული მომსახურების საგანი, რომლით განსაზღვრული მომსახურებაც გასწია კომპანიამ, არამედ, წერილის შინაარსი მხოლოდ ეხება საჩივრის ავტორის მიერ ჰონორარის გადაუხდელობის ფაქტს და მის სახელზე ორჯერ გაგზავნილი შეტყობინების ჩაუბარებლობის საკითხს, რაც დასტურდება ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი შეტყობინების ჩაუბარებლობის ცნობებით.

6.9 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ კომპანიის დირექტორი - ადვოკატი ა. კ ხელს აწერს მ. რ.-ის სახელზე გაგზავნილ „მიმართვას“ (ს.ფ.13), თუმცა კომპანიის მიერ გზავნილის ადრესატად მიეთითა მ. რ.-ის დეიდა ი. რ.-კ, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიერ დაშვებულ ტექნიკურ შეცდომას. მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება ადვოკატ ა. კ.-ის მიერ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევის ფაქტი.

6.10 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ა. კ-ის მიერ არ არის დარღვეული „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით , „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, 33-35 მუხლებით, 37 მუხლით, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. №098/16 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ ა. კ-ს /სიითი N/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/